Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

#16, აპრილი, 2021

ავღანეთის საკითხი საერთაშორისო საზოგადოებისთვის: ნატოს მისიის დასასრული

თამარი ბიბიჩაძე
სალომე ქოროღლიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Email: tamari.bibichadze373@sps.tsu.ge
Email: salome.qoroglishvili235@sps.tsu.ge

აბსტრაქტი

გლობალიზაციის ფონზე, ტერორიზმის გააქტიურებასთან ერთად საკმაოდ აქტუალური გახდა სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხი. საერთო მშვიდობის, მსოფლიოს ცხელ წერტილებში არსებული რთული ვითარების მოსაგვარებლად წამყვანი ქვეყნები სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობენ დაეხმარონ თავიანთ საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ხალხს. ცენტრალურ აზიაში მდებარე ავღანეთი, მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი წერტილი, დაახლოებით 42 წელია ომის ქარცეცხლშია გახვეული. მოცემული თემა ,,ავღანეთის საკითხი საერთაშორისო საზოგადოებისთვის: ნატოს მისიის დასასრული" ეხება დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურ საკითხს, რომელმაც შეცვალა და განაპირობა კიდეც საერთაშორისო დღის წესრიგი.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ავღანეთში მშვიდობა არ დამყარებულა. მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე იგი იქცა მრავალი სახელმწიფოს ყურადღების ეპიცენტრში. არასტაბილური მთავრობა, ტერორიზმის გააქტიურება, თალიბების მმართველობა, ადამიანის უფლებების აშკარა დარღვევის ფაქტები, სიღარიბე და რიგი სახელმწიფოების მცდელობები ზეგავლენა იქონიონ ავღანეთზე და სისრულეში მოიყვანონ თავიანთი პოლიტიკური მიზნები, ავღანეთის საკითხს საერთაშორისო საზოგადოებისთვის ერთ-ერთ უმწვავეს სამხედრო-პოლიტიკურ გამოწვევად ხდის.

სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია ავღანეთის კონფლიქტი, სსრკ-ს ინტერვენცია, თალიბების მოსვლა ხელისუფლების სათავეში, ტერორიზმის გააქტიურება, 9/11-ის ტერორისტული აქტი აშშ-ში და ნატოს საერთაშორისო მისია ISAF, რომლის მთავარი მიზანი ტერორიზმის აღმოფხვრასთან ერთად გახდა ქვეყნის აღმშენებლობა და განვითარება, ამასთან ყურადღება იქნება გამახვილებული ნატოს მისიის დასასრულსა და შესაძლო შედეგებზე, რომლის მეშვეობითაც შეგვეძლება დავასკვნათ, თუ რამდენად ეფექტური იყო ,,საერთაშორისო საზოგადოების" მიერ განხორციელებული ინტერვენცია ავღანეთში.

საკვანძო სიტყვები: *ნატოს სამშვიდობო მისიები ავღანეთში, 9/11-ის ტერაქტი, საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალები-ISAF, სსრკ-ს ინტერვენცია, მოვალეობები საზღვრებს მიღმა.*

შესავალი

დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე მდებარე ავღანეთი უძველესი დროიდან წარმოადგენდა ვაჭრობისა და მიგრაციის ცენტრს, რაც მას საშუალებას აძლევდა მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა რეგიონის ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხების მოგვარებაში. აქედან გამომდინარე, ეს ქვეყანა ხშირად იყო დიდი და ძლიერი სახელმწიფოების საბრძოლო არენა, რათა მასზე კონტროლი დაემყარებინათ. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ცენტრალური აზიის მთელ რიგ ქვეყნებში თანდათანობით აქტიურდებოდა ტერორიზმი და რელიგიური ექსტრემიზმი. (Petrov, 2021)

გლობალიზაციის ეპოქაში, აზიაში არსებული პრობლემები მხოლოდ ცენტრარული აზიის ქვეყნებზე არ აისახებოდა. დესტაბილიზიაცია, ტერორისტული აქტები, ადამიანის უფლებების დარღვევის აშკარა შემთხვევები საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებას უშლიდა ხელს და საფრთხეს უქმნიდა თავად წამყვან სახელმწიფოებსაც. აქედან გამომდინარე, გარდა იმისა, რომ რთულ სიტუაციაში ჩავარდნილი სახელწიფოები დასავლეთსა თუ რუსეთს დახმარებას თხოვდნენ ტერორიზმთან ბრძოლაში, მათი პირდაპირი მიზანიც გახდა, რომ თავიანთი წვლილი შეეტანათ საკუთარ საზღვრებს მიღმა არსებული ტერიტორიების უსაფრთხოების დაცვაში. რა თქმა უნდა, ეს ეწინააღმდეგებოდა საკმაოდ გავრცელებულ დებულებას იმის შესახებ, რომ ქვეყნების მთავრობები გადაწყვეტილებას მხოლოდ საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ, რასაც შესაძლოა ადასტურებდეს ის ფაქტიც, რომ ცენტრარული აზიის სახელმწიფოებს ჰქონდათ საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა და გამოირჩეოდნენ მდიდარი რესურსებით. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვიტყვით ავღანეთი რაიმე რესურსული

თვალსაზრისით გამოირჩევა, რამეთუ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი ქვეყანაა, მას აქვს მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა, შედეგად როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ოდითგანვე იქცა ,,დიდი იმპერიების ყურადღების ქვეშ. (პეტრიაშვილი, ომი და მშვიდობა ავღანურად, 2019) XX საუკუნიდან დაწყებული ავღანეთი ტერორისტული დაჯგუფებების სამიზნეც გახდა (Petrov, 2021).

არასტაბილურმა მდგომარეობამ, მთავრობების ხშირმა ცვლამ, სახელმწიფო გადატრიალებებმა, ხელისუფლებაში ტერორისტული დაჯგუფებების მოსვლამ ავღანეთი ურთულეს სიტუაციაში ჩააყენა, რის გამოც ისინი ნებისმიერისგან იღებდნენ დახმარებას ვინც ამას შესთავაზებდა. გასაკვირი არ იქნება დავასკვნათ ისიც, რომ ამ მდგომარეობაში ჩავარდნილ სახელმწიფოზე ზეგავლენის მოპოვება რთული არ იქნებოდა. შესაბამისად, როგორც სსრკ (შემდგომში რუსეთის ფედერაცია), ისე აშშ, პაკისტანი და სხვა სახელმწიფოები ცდილობდნენ ხელისუფლების სათავეში მოეყვანათ მათდამი დადებითად განწყობილი პირები. ამას ემატებოდა ხალხის განათლების დაბალი დონე. ვსაუბრობთ იმ ქვეყანაზე, სადაც ყველამ იცოდა იარაღის ხმარება, თუმცა ,,კალმის“ ძალიან ცოტამ. ნაშრომში განხილული და გაანალიზებული იქნება ავღანეთის ისტორიის საკვანძო მომენტები, მათ შორის ნატოს მისიის როლი და მიზნები. საკითხის ისტორიული პროფილის

შესწავლა დაგვეხმარება გავიაზროთ ის მიზეზები, რამაც განაპირობა ავღანეთის დაუსრულებელ ომში ჩაბმა, რისი საშუალებითაც შესაძლებლობა მოგვეცემა პასუხი გავცეთ საკვლევ კითხვას თუ როგორ განვითარდება მოვლენები ავღანეთში ნატოს მისიის დასრულების შემდეგ.

1979 წელს დაწყებული კონფლიქტიდან, როდესაც საბჭოთა ჯარები შეიჭრნენ ავღანეთის ტერიტორიაზე შეუჩერებლად მიმდინარეობს ომი, მშვიდობის გარეშე. თუ თავდაპირველად სახელმწიფოები ფარულად უჭერდნენ მხარს თავიანთ პროტეჟეებს, თანდათანობით ეს ყველაფერი ღია დიპლომატიურ თუ სხვა სახის კონფრონტაციაში გადაიზარდა. შედეგად მივიღეთ საბჭოთა დეოკუპაცია, თუმცა ეს ყველაფერი ერთი უკიდურესობიდან მეორეში თალიბების ხელისუფლებაში მოსვლით დასრულდა. საბოლოოდ მივედით ტერორისტული დაჯგუფებების დომინირებასთან. სწორედ ამ დაჯგუფებებიდან ერთ-ერთია ალ-ქაიდა, რომელსაც ოსამა ბინ ლადენი მეთაურობდა და რომლის თვითმკვლელმა ტერორისტებმაც 2001 წლის 11 სექტემბერს განახორციელეს კოორდინირებული თავდასხმა აშშ-ის ტერიტორიაზე. რასაც რა თქმა უნდა, მოჰყვა აშშ-ს მკვეთრი რეაგირება და ტერორიზმთან გამოცხადებული ომი. შესაბამისად, 2001 წლის 20 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის საფუძველზე დაიწყო „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების“ მისია(International Security Assistance Force-ISAF), რომლის მიზანიც თავდაპირველად ქაბულსა და მის გარშემო ტერიტორიაზე სტაბილურობის დამყარება იყო, ხოლო თანდათანობით მთავარი პრიორიტეტი გახდა ქვეყნის აღმშენებლობა და განვითარება. (Harting & Hoehn, 2010)

სტატიაში სწორედ ეს მიმდინარე მოვლენები იქნება განხილული, მთავარი იდეოლოგიური და პოლიტიკური ასპექტები და თანამედროვე მოვლენები, რაც უკავშირდება ნატოს მისიის დასრულებას, რომლის შემდეგაც შეგვეძლება დავასკვნათ, რამდენად სწორი იყო ნატო-ს გადაწვეტილება ჯარების გამოხმობასთან დაკავშირებით იმ ფონზე, რომ საფრთხე იზრდება, ტერორისტები არა თუ წყვეტენ ომს, არამედ აქტიურდებიან და ხელთ იგდებენ ავღანეთის ტერიტორიებს, რასაც ემატება ხალხის დამოკიდებულება და ბრძოლის სურვილის არ ქონა.

ლიტერატურის მიმოხილვა

დღესდღეობით არ წყდება დავა იმის შესახებ, თუ როგორი რეაგირება უნდა ჰქონოდა საერთაშორისო საზოგადოებას ავღანეთში სსრკ-ს ინტერვენციის შესახებ, რა უნდა მოემოქმედებინათ ტერორიზმთან საბრძოლველად მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს და საბოლოოდ უნდა გამოეყვანა თუ არა ნატო-ს ჯარები ავღანეთიდან.

მკვლევართა მოსაზრებები ერთმანეთს უპირისპირდება, ზოგიერთი მათგანის აზრით სსრკ-ს ინტერვენციამ გამოიწვია ხანგრძლივი ომის დასაწყისი ავღანეთში, რომლის საბოლოო შედეგი არა მარტო თავად ამ სახელმწიფოსთვის, არამედ სსრკ-სთვისაც არ იყო სასარგებლო, რამეთუ მეცნიერთა უმრავლესობის მოსაზრებით სწორედ აქ განხორციელებულმა მარცხმა გამოიწვია მისი დაშლა და შემდგომში სიტუაციის გაუარესება ცენტრალურ აზიაშიც. (Clayton, 2016) საკითხის აქტუალურობას

განაპირობებს ისიც, რომ ავღანეთში გააქტიურებული ტერორიზმის აქტების შემდგომ უფრო და უფრო ღიად ჩაერთო ამერიკა ტერორიზმთან ბრძოლაში, განსაკუთრებით 9/11 ტერორისტული თავდასხმის შემდეგ. (Gaetano , 2009)

რაც შეეხება ნატოს ჯარების გამოყვანას ავღანეთიდან, ასევე ვერ თანხმდებიან მკვლევარები თუ უმაღლესი სახელმწიფო პირები ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთის მოსაზრებით ნატო-მ მიაღწია თავის მიზნებს და უკვე საჭირო იყო, რომ ძალაუფლების სადავეები ავღანელებისთვის გადაეცათ. მაგალითად, ბარაკატი და ვინდსორი ფიქრობენ, რომ ISAF - ის მისიის ერთ-ერთი წარმატება იყო ის, რომ NATO-ს გაერთიანებულმა ძალებმა შეძლეს დაესუსტებინათ ტერორისტული ორგანიზაციები. ისინი იხსენიებენ თალიბების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების დაბრუნებას ქვეყნის სამხრეთით. (Barakat & Smith-Windsor, 2015)

ქართველი დიპლომატი და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი ალექსი პეტრიაშვილი თავის სტატიაში ,,20 წელი ავღანეთში: დაუსრულებელი მისია“ საუბრობს ნატოს მისიის წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზებზე. რა თქმა უნდა, ნატოს თავიდანვე ჰქონდა კონკრეტული ამოცანები, მაგალითად, თავდაპირველად ალ-ქაედას და მისი ლიდერის ოსამა ბინ ლადენის განადგურება, რაც ნაწილობრივ განახორციელეს კიდეც. ავტორი რამდენჯერმე ამახვილებს ყურადღებას დაუსრულებელ მისიაზე, რამეთუ მიუხედავად იმისა, რომ მათ ალ-ქაედა დაასუსტეს, ის როგორც ტერორისტული ორგანიზაცია არ განადგურდა და რასაც მოჰყვა კიდევ ერთი ტერორისტული ორგანიზაციის აისის-ის (,,დაეში“) გაძლიერება, რომელიც იქცა მნიშვნელოვან საფრთხედ და პრობლემად გლობალური უსაფრთხოებისთვის. აქაც საერთო ძალისხმევით სირიაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, თუმცა ორგანიზაციის დასუსტების მიუხედავად ვერ გაანადგურეს. ავტორი ეხება 2001წლის 11 სექტემბრის ტერაქტსაც, რომლის განხორციელების დროსაც ავღანეთს თალიბები მართავდნენ. აღსანიშნავია მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც ადამიანების უფლებებს შეეხებოდა. მაგალითად, თალიბების მმართველობის დროს მნიშვნელოვნად იზღუდებოდა ქალებისა და ბავშების ფუნდამენტური უფლებები და უმძიმესი წნეხის ქვეშ უწევდათ ცხოვრება. ავღანეთის შემთხვევაშიც ნატოს ჯარებმა ოპოზიციური

ძალების მხარდაჭერით (,,ჩრდილოეთის ალიანსი“-ლიდერი აჰმად შაჰ მასუდი) მოახერხეს თალიბების ხელისუფლებიდან განდევნა თუმცა არ განადგურდა. მკვლევარი ამასთანავე აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთის მისიაში თავდაპირველად ტერორისტების განეიტრალება იყო მნიშვნელოვანი, თანდათანობით პრიორიტეტი სახელმწიფოს განვითარება გახდა, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ქალებისა და ბავშვების უფლებები. ცვლილებები ნელა და მძიმედ, მაგრამ წარმატებით ხორციელდებოდა, რამეთუ ეტაპობრივად შენდებოდა სკოლები, საავადმყოფოები, იგებოდა გზები, მიიღებოდა კანონები, თუმცა ამასთან ტერორისტული დაჯგუფებები ბრძოლას უფრო და უფრო აძლიერებდნენ. მსხვერპლიც იზრდებოდა როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ავღანეთის შეიარაღებული ძალებისა, ასევე უსაფრთხოების სამსახურის, შეიარაღებული ძალებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის. შესაბამისად ისინი პოზიციებს უფრო და უფრო იმტკიცებდნენ და კონტროლს ამყარებდნენ

ავღანეთის პროვინციებზე. ამას დაემატა ანტისაომარი განწყობა მისიის მონაწილე სახელმწიფოების მოსახლეობის მხრიდან. (პეტრიაშვილი, 2021) ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანტისაომარი განწყობილებების გამოყენება კარგად შეეძლოთ პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი პოზიციების განმტკიცებისთვის, რამეთუ როცა საქმე მსხვერპლს ეხება მეორე ხარისხოვანი ხდება შესრულდა თუ არა მისია. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები ხშირად უშვებენ იმასაც, რომ მოვალეობები სახელმწიფოს საზღვრების პირას სრულდება. რამეთუ მათი მოსაზრებით მოქალაქეებს აქვთ მოვალეობა მხოლოდ თავიანთი სახელმწიფოს წინაშე იყვნენ ანგარიშვალდებული. (Barnett, 2016)

საბოლოოდ ნატომ გადაწყვიტა 2021 წლის 11 სექტემბერს დაესრულებინა ნატოს მისია ავღანეთში. 2021 წლის 14 ივნისს ქალაქ ბრიუსელში ნატოს სამიტის სხდომაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განიხილა ნატოს წინაშე არსებული გამოწვევები და სამიტის მოსალოდნელი შედეგები. ის შეეხო ავღანეთის საკითხსაც. მისი თქმით ისინი მართალია ასრულებენ მისიას ავღანეთში, თუმცა არ წყვეტენ დახმარებას (კაპიტალ-დაბანდების,ტექნოლოგიური დახმარების თუ სხვა სახით.) გენერალური მდივნის თქმით, რაღაც ეტაპზე ავღანელებს უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა თავიანთ მომავალზე, რაც რა თქმა უნდა იქნებოდა დაკავშირებული გარკვეულ რისკებთან. (Stoltenberg, 2021) აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნატო ავღანეთს ამზადებდა ამ შესაძლო შედეგისთვის, თანდათანობით მნიშვნელოვნად შეამცირეს სამხედრო კონტიგენტის რიცხვიც 100 000 სამხედრო მოსამსახურიდან 7000-მდე. წლის ბოლოსთვის კი მხოლოდ 600 სამხედრო იქნება ავღანეთში, რომელიც საელჩოს დაიცავს „მოვედით ერთად! გავდივართ ერთად!“ (პეტრიაშვილი, 2021) თუმცა ამ ყველაფერთან ერთად აქტიურდებიან ტერორისტული დაჯგუფებები და ძალაუფლებას თანდათანობით იგდებენ ხელში. განსაკუთრებით თალიბები, რომლებიც ბოლო მონაცემებით დაახლოებით ქვეყნის 85% აკონტროლებენ. დესტაბილიზაცია განიცადა ჯარმა, რომლებიც ტერორსტებს ბარდებიან ან ტოვებენ ქვეყანას. უმეტესად ის ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ კოალიციურ ძალებთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ისტორია სახეშეცვლილად კვლავ განმეორდება. ისევ დაიწყებენ სახელმწიფოები გავლენების მოპოვებას ავღანეთზე, რამეთუ რიგი სახელმწიფოები ეცდებიან თალიბებთან საერთო ენის გამონახვას. თუმცა მკვლევართა მოსაზრებით თავად ტერორისტულ დაჯგუფებებს შორის თანხმობა შეიძლება ვერ იქნეს მიღწეული. შესაბამისად ომი და დაპირისპირებები შესაძლოა გაგრძელდეს, რაც აუსრულებელი მშვიდობის აშკარა გაგრძელება იქნება.

მეთოდოლოგია

სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულია სოციალურ მეცნიერებათა კვლევის კონტენტ-ანალიზისა და ისტორიული ანალიტიკის თვისებრივი მეთოდები, რაც გვეხმარება ავღანეთთან დაკავშირებული საკითხების ისტორიულ განხილვაში, დაპირისპირებული სახელმწიფოებისა აშშ-სსრკ (შემდგომში რუსეთის ფედერაცია) და მათი მომხრე ქვეყნებისთვის მისი როლის გადაფასებასა და მათ შორის კონკურენციის მნიშვლეოვანი ასპექტების გამოვლენაში. ამასთან განხილული აკადემიური ნაშრომები, ანალიტიკური სტატიები, საერთაშორისო ურთიერთობების თუ

პოლიტიკის მკვლევართა მოსაზრებები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ავღანეთის სახელმწიფოს პოლიტიკური არამდგრადობის ძირითადი საფუძვლები და სხვა წამყვანი სახელმწიფოებისთვის მისი გეოსტრატეგიული მდებარეობის მნიშვნელობა. ასევე სახელმწიფო და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და უმაღლეს პირთა განცხადებებითა თუ შეფასებებით შეგვეძლება დავასკვნათ ნატოს მისიის წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზები. კვლევის პროცესში საკვლევ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილეთ სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტი, რომლებშიც იკვეთება მეცნიერებისა და ანალიტიკოსების შეფასებები, როგორც დადებითი, ისე სკეპტიკური ხასიათის, რომელთა გაანალიზების შემდგომ საშუალება მოგვეცა დაგვედგინა ავღანეთის ,,არ შემდგარი ეროვნული შერიგების“ პოლიტიკის ძველი და ახალი მიზეზები, გამოგვეყო ძირითადი პრობლემები და დაგვენახა მოვლენების დინამიკა.

კონფლიქტის დასაწყისი და შედეგები

ავღანეთში ნატო-ს მისიის ჯარების გაგზავნას საფუძველი დიდი ხნის განმავლობაში ეყრებოდა. ფარული დახმარებები თანდათანობით, სიტუაციის გაუარესებასთან ერთად, ღია და აშკარა ჰუმანიტარული ინტერვენციით დასრულდა. თუმცა ყოველივე ამას საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენები უძღოდა წინ. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, დავასკვნით, რომ ავღანეთის ისტორიაში გარდამტეხი ეტაპი იყო 1979წელი, სწორედ აქედან მოყოლებული ქვეყანაში მშვიდობა არ დასადგურებულა.

ავღანეთის ომმა XX საუკუნის 80-იან წლებში დიდი გავლენა იქონია საერთაშორისო დღის წერიგზე, რამეთუ საფუძველი ჩაუყარა რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას და მოვალეობების გადახედვას საზღვრებს მიღმა. ღია თუ დაფარული კონკურენცია აშკარად გამოვლინდა ცივი ომის სარბიელზე დაპირისპირებულ სახელმწიფოებს შორის ავღანეთთან მიმართებით, რომელიც გარდაისახა ეკონომიკურ, იდეოლოგიურ, გეოპოლიტიკურ თუ დიპლომატიურ დაპირისპირებაში. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ მოხდა სამხედრო ,,გადატრიალება“ 1978 წლის 27 აპრილს, როდესაც მოკლულ იქნა ავღანეთის პრეზიდენტი მუჰამედ დაუდ ხანი, შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა სახალხო დემოკრატიული პარტია, რომელმაც პირველ ეტაპზე

კოალიციური მმართველობა შემოგვთავაზა, რამეთუ პარტია ორი ფრაქციისგან შედგებოდა ,,ფარჩამ'' და ,,ხალქ“. ქვეყნის პრემიერ მინისტრი და პრეზიდენტი გახდა სახალხო დემოკრატიული პარტიის გენერალური მდივანი ნურ მუჰამედ ტარაკი, ხოლო ,,ფარჩამ“-ის ლიდერი ბაბრაქ ქარმალმა მთავრობის მეთაურის მოადგილის პოზიცია დაიკავა(შემდგომში ის შეცვალა ჰაფიზულა ამინმა). რა თქმა უნდა, საკითხს სხვა მხრიდან თუ შევხედავთ შეგვეძლება ვივარაუდოთ, რომ პარტიული ერთობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რადგან ჩვეულებრივ ინტერესთა შეჯახება და ძალაუფლებისკენ ლტოლვა ცვლის სტატუს ქვოს და ქვეყნებს ხანგრძლივ კრიზისში აგდებს. ავღანეთის შემთხვევაშიც იგივე განმეორდა. მოვლენები კლასიკური შინაარსით

განვითარდა, ორ ფრაქციას შორის არსებული გზები გაიყო. ძალაუფლება ხელთ იგდო ,,ხალქ"-მა, კონკურენტი ფრაქციის ლიდერები კი იძულებულები გახდნენ ქვეყანა დაეტოვებინათ. ეს უკვე ნიშნავდა ,,პროტეჟე" სახელმწიფოების ფარულ დახმარებას და სწრაფვას თავიანთი მოკავშირე ან მათ მიმართ დადებითად განწყობილი პირი მოეყვანათ/დაეტოვებინათ ხელისუფლების სათავეში. ამ ეტაპიდან იწყება საბჭოთა კავშირთან დაახლოვება. შესაბამისი პოლიტიკური თამაშით სსრკ-მ მოახერხა მიეღწია შემდეგისთვის: 1978 წლის მაისში დადებული ხელშეკრულების თანახმად 400-მდე სამხედრო მრჩეველი და დამკვირვებელი გაიგზავნა ავღანეთში,1978წლის 5 დეკემბრის ხელშეკრულება კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო, რისი მეშვეობითაც სსრკ-ს უფლება ეძლეოდა შეეყვანა ჯარები ავღანეთში მათი მხრიდან თხოვნის შემთხვევაში. თუ ამ საკითხს ჩავუღმავდებით უკვე წავაწყდებით დიდი დაპირსპირების საგანს აშშ-სა და სსრკ-ს შორის. ავღანეთი, რა თქმა უნდა, ორივე ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია იყო ცენტრალურ აზიაში, რომლის გამოც საუკუნეების მანძილზე არ წყდებოდა ქვეყნების ინტერესი როგორმე თავიანთ პლაცდარმად გამოეყენებინათ იგი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ავღანეთი განვითარების თვალსაზრისით დიდად ჩამორჩებოდა სხვა ცენტრარული აზიის ქვეყნებს. ავღანეთი ადამიანთა უფლებების დაცვის მხრივ უამრავი პრობლემების წინაშე იდგა, განსაკუთრებით მწვავე იყო ქალებსა და ბავშვებთან დაკავშირებული განათლების საკითხები. ამის საპირისპიროდ აღსანიშნავია ის რეფორმები, რომლებიც ტარაკის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ განხორციელდა. პირველ რიგში, მარქსისტული იდეოლოგიისკენ მიმხრობა სსრკ-ს აძლევდა ხელს და აშკარა უპირატესობას ქმნიდა საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ამასთან ყურადღება მიაქციეს განათლებას, ქალების თანასწორობას, მიწის რეფორმებს. თავისთავად, ეს რეფორმები პროგრესული იყო ავღანეთისთვის, მაგრამ ისინი ამ ყველაფერს მეტისმეტი სისასტიკით ანხორციელებდნენ ,რასაც სტატისტიკაც მოწმობს. წელიწადნახევრის განმავლობაში 27000 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. რეფორმებს შეიარაღებული გამოსვლები მოჰყვა, რამაც გაართულა სიტუაცია ბევრ პროვინციაში. აღსანიშნავია, 1979წლის მარტი, როდესაც ჰერათში ამბოხებულებმა 100-მდე საბჭოელი ინსტრუქტორი მოკლეს. თუ ამ საკითხს ჩავუღრმავდებით აღმოვაჩენთ, რომ ამბოხებულებს მხარს უჭერდნენ აშშ და პაკისტანი, რაც ნიშნავდა იმას, რომ ცივი ომის ცხელი წერტილი აშშ-სსრკს დაპირისპირებაში ავღანეთი აღმოჩნდა. ამასთან თუ სსრკ აშკარად ემზადებოდა ავღანეთში ინტერვენციისთვის, აშშ-ც არ კარგავდა დროს. 1979წლის 3 ივლისს, აშშ-ს პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მის მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად ნება დართო ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ეწარმოებინა საიდუმლო ოპერაციები ავღანეთში. დაძაბულ სიტუაციას ემატებოდა ტარაკისა(პრეზიდენტი) და ამინის (პრემიერ მინისტრი 1979წლის მარტიდან) დაპირისპირება. რისი კულმინაციაც იყო სახელმწიფო გადატრიალება 1979წლის 14 სექტემბერს, როდესაც ამინმა მთავრობის სასახლე აიღო და ტარაკი მოკლა. ტარაკი პროსაბჭოური ორიენტაციის იყო შესაბამისად მისი მკვლელობა აუცილებლად გამოიწვევდა სსრკ-ს გაღიზიანებას და ისიც გადადგამდა აშკარა ნაბიჯებს მოპოვებული სტატუს ქვოს აღდგენისთვის. საინტერესოა როგორ აფასებდნენ სსრკ-ს კონტრდაზვერვაში და უსაფრთხოების უმაღლეს კულუარებში ამინის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, რამეთუ ამინმა თავიდანვე სცადა

პაკისტანთან და ჩინეთთან დაკავშირება და არ მოერიდა შეხვედრას აშშ-ს დროებით წარმომადგენელთან ავღანეთში ბრიუს ამშტუცთან. ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ სსრკ-ს უშიშროების უფროსის იური ანდროპოვის აზრით, ამინის მოსვლა ხელისუფლებაში აუცილებლად გამოიწვევდა დესტაბილიზაციას ავღანეთში და ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციას. ამ ყველაფერს მოჰყვა საბჭოთა ჯარების შეყვანა ავღანეთში, რაც დაიწყო 1979 წლის 25 დეკემბრიდან და რამაც საერთაშორისო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია, რამეთუ დასავლეთის მხრიდან სსრკ-ს ეს მოქმედება აშკარა ინტერვენციად შეფასდა.ზოგადად საყურადღებოა ამინის მოქმედებები, ფაქტობრივად მის მოკვლას თავადვე შეუწყო ხელი, რადგან 17 დეკემბერს თავად ითხოვა დახმარება. 27 დეკემბერს სპეცდანიშნულების რაზმებმა წარმატებით შეუტიეს ამინის ადგილსამყოფელს, 28 დეკემბრისთვის ამინი მოკლეს. ხელისუფლება კი მოსკოვიდან ჩასულ ბაბრაქ ქარმალს ჩააბარეს.

იყო თუ არა ავღანეთში სსრკ-ს ჯარების შეყვანა ,,ყველაზე სერიოზული და ყურადსაღები საფრთხე მშვიდობისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ“. (Donnelly, 2019) როგორც ჩანს სახელმწიფოთა უმრავლესობამ ასეც აღიქვა. 1980წლის 10-14 იანვრის ისლამური კონფერენცის ორგანიზაციის წევრების მიერ გამართულ სპეციალურ შეხვედრაზე მათ მოითხოვეს სსრკ-ს ჯარების ავღანეთიდან დაუყონებლივ გაყვანა. ამას დაემატა გაეროს გენერალური ანსამბლეის რეზოლუცია და ბოიკოტი მოსკოვში ჩატარებული XXII ოლიმპიური თამაშებისა, თუმცა საპასუხო რეაქცია 1984 წელს გამოავლინა სსრკ-მაც, როცა ამჯერად მათ გამოუცხადეს ბოიკოტი ლოს ანჯელესის ოლიმპიადას. ვითარების გამძაფრება დააჩქარა აშშ-ს რაკეტების ევროპაში განთავსების შესახებ განცხადების გაკეთების შემდეგ. ფაქტობრივად მიზანი, რაც ჰქონდა აშშ-ს სსრკ-სთვის ავღანეთი ექციათ ,,ვიეტნამად“ ასრულდა კიდეც.

ახალი ეტაპი დაპირსპირების ესკალაციისთვის დაიწყო 1982 წელს ,რაც მალევე ჩაიშალა გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლით. ახალი მმართველის გამოჩენამ გამოიწვია გეგმების შეცვლა. გადააყენეს ქარმალი, აშკარა იყო რომ მან ვერ გაამართლა იმედები. მის მაგივრად დაინიშნა მოჰამედ ნაჯიბულა,რომელმაც 1987წელს კონსტიტუცია შემოიღო და ,,ეროვნული შერიგების პოლიტიკა“ გამოაცხადა, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სსრკ-მ კრახი განიცადა ავღანეთში. 1988 წლის 14 აპრილის ჟენევის შეთანხმებით მათ დაიწყეს ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან,რაც უნდა განეხორციელებინათ 1988წლის 15 მაისიდან 1989 წლის 15 თებერვლამდე.უკანასკნელი საბჭოთა ჯარისკაცი,რომელმაც ავღანეთი დატოვა იყო გენერალი ბორის გრომოვი. მათ მიიღეს უდიდესი მორალური ზარალი. ჟენევის შეთანხმებაში იყო სხვა პუნქტებიც გაწერილი მაგალითად ის, რომ აშშ, პაკისტანს და სსრკ-ს შეეწყვიტათ ფარული დახმარებები თავიანთი პროტეჟეებისა, ამასთან უნდა შეექმნათ ეროვნული ხსნის მთავრობა. თუმცა რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ყველაფერი ისე არ წარიმართა როგორც მოელოდნენ. მუჯაჰიდებმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს და ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ 1992 წელს ქაბულიც აიღეს. ძალაუფლება მათ ხელში გადავიდა. ავღანეთში გააქტიურდა ტერორისტული დაჯგუფებები, როგორიცაა თალიბები და ალ-ქაედა, შემდგომში აისისი. თალიბებმა გაეროს მისიას შეფარებული ნაჯიბულა ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით გამოიყვანეს თავშესაფრიდან და მოკლეს მის ძმასთან ერთად 1996 წლის 27 სექტემბერს. (პაპასკირი , 2013)

რატომ იქცა ავღანეთი საერთაშორისო საზოგადოებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-პოლიტიკურ გამოწვევად? ამ ომმა ცივის ომის მიმდინარეობისას გარდამტეხი როლი ითამაშა აშშ-სა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირებაში. საბჭოთა კავშირისთვის ავღანეთი იქცა ,,საბჭოთა ვიეტნამად". ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც საბჭოთა კავშირი დაიშალა იყო ავღანეთის მისიის კრახი. ფაქტობრივად გამართლდა, ზბიგნევ ბზეჟინსკის ნათქვამი პრეზიდენტ კარტერისადმი, გამოეყენებინათ მშვენიერი შანსი ,შეექმნათ სსრკ-ს ვიეტნამი. (აბაშიძე, 2009) მიუხედავად იმისა, რომ რესურსული ზარალი დიდი არ იყო. 14,453 დაღუპული და 10,751 დაინვალიდებული. მათ მიიღეს უდიდესი მორალური ზარალი.

რაც შეეხება თალიბების მოსვლას ხელისუფლების სათავეში, მას მოჰყვა რიგი პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული გარდაქმნები. გაუარესდა მოსახლეობის მდგომარეობა. კიდევ უფრო შეიზღუდა ადამიანის უფლებები, რამეთუ მათი იდეოლოგია იდგა ისლამურ ფუნდამენტალიზმე და სურდათ ისლამური ნორმების აღდგენა ამისთვის არ ერიდებოდნენ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, როგორიცაა ქალების ძალით დაქორწინება მამაკაცებზე, განათლების მიღების აკრძალვა, ყოველი მოწინააღმდეგე აზრის მქონე ადამიანის სიკვდილით დასჯა და ასე შემდეგ. (ბეჟანი & სარვარი, 2021). მათ წარმატებას დიდწილად ხელი შეუწყო მოსახლეობის გადაღლილობამ, სამოქალაქო ომისგან დაქანცულ ხალხს თალიბები მხსენებლად ესახებოდნენ.

თუმცა თალიბების ხელისუფლებაში მოსვლამ ტერორისტული აქტები და რელიგიური ექსტრემიზმი კიდევ უფრო გააძლიერა. რასაც მოჰყვა ალ-ქაედას მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტი აშშ-ში, რაც საბოლოო წერტილად იქცა დასავლური სამყაროსთვის ბრძოლა გამოეცხადებინათ საერთაშორისო მშვიდობისთვის. მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: 19-მა ისლამისტმა ტერორისტმა 4 კომერციული სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა და მათგან ორი გამიზნულად დააჯახა ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ორ ცათამბჯენს, ე.წ ტყუპებს; მესამე პენტაგონის შენობას, მეოთხე კი სომერსეტ-ქაუნთის ველზე ჩამოვარდა („დღე, რომელმაც მსოფლიო შეცვალა 11 სექტემბერი", 2017), რასაც მოჰყვა ავღანეთის რეაგირება, მათ დაიწყეს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (ISAF) ფორმირება. (საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი) ამას მოჰყვა მისია „ერთად უსაფრთხოებისთვის". ნატოს როლის ზრდასთან ერთად 2003 წლის თებერვალში გერმანიამ წინადადება წამოაყენა, რომ ნატო გამხდარიყო ISAF მისიის მეთური. გერმანიის თავდაცვის მინისტრმა პიტერ შტრაკმა ავღანეთის პრეზიდენტ ჰამიდ კარზაისთან ქაბულში შეხვედრისას განიხილა ეს წინადადება. ამავე დროს, ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა გააკეთა კომენტარი, რომ ნატო "განიხილავდა სამშვიდობოების მეთაურობას ავღანეთში, ძირითადად, იმ არსებული სისტემის დანგრევის თავიდან ასაცილებლად, რომლის მიხედვითაც, მისიის მეთაურობა ყოველ ექვს თვეში იცვლებოდა". ავღანეთში ნატოს როლის გაფართოებას, რასაკვირველია, ჰყავდა როგორც მოწინააღმდეგე, ასევე მომხრე ქვეყნები. საბოლოოდ კი, ნატოს წევრი სახელმწიფოების მეთაურებმა გადაწყვიტეს მხარი დაეჭირათ მისი „მშვიდობის დამცველი"(„peace enforcing") როლისთვის და 2003 წლის 11 აგვისტოს ნატომ გადაიბარა ISAF-ის კონტროლი განუსაზღვრელი ვადით. აღსანიშნავია, რომ ნატოს 50 წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ

მან ოპერაცია ევროპის საზღვრებს გარეთ განახორციელა (Harting & Hoehn, 2010). თუ ამ ყველაფერს გავაანალიზებთ შეგვეძლება დავასკვნათ ,,ხდება თუ არა საგარეო პოლიტიკა უფრო კეთილი და რბილი" რომლის დასასაბუთებლად გამოგვადგება რიგი მაგალითები, როგორიცაა: ჰუმანიტარული ინტერვენცია სომალიში, აღმოსავლეთ ტიმორში, მოქალაქეთა მოძრაობების მობილიზება ადამიანების უფლებების დაცვის მიზნით, სამშვიდობო მისიები მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში. თუმცა ამასთან დაკავშირებითაც ვაწყდებით სხვადასხვა მკვლევარის დადებით თუ ნეგატიურ შეფასებებს. ჩვეულებრივ მაინც უპირისპირდება სხვადასხვა კონცეფციები ერთმანეთს. რეალისტები მაინც სახელმწიფოთა ინტერესებს თვლიან უპირველესად, შესაბამისად მათ ქვაკუთხედად მაინც -სიმდიდრე, ძალაუფლება და მიზნების განხორციელება მიაჩნიათ სახელმწიფოთა დახმარების მთავარ საფუძვლად. ლიბერალები გლობალიზაციას უკავშირებენ ყველაფერს და შესაბამისად ფიქრობენ, რომ არეულობა მსოფლიოს ერთ მხარეში ნიშნავს არეულობას მთლიანად მსოფლიოში და ასე შემდეგ. (Barnett, 2016)

თუმცა საინტერესოა, როგორ ვითარდებოდა მოვლენები ავღანეთში. 2011 წლიდან უსაფრთხოების პასუხისმგებლობა თანდათან გადაეცემოდათ მისიის განმავლობაში შექმნილ ავღანელ სამხედრო და საპოლიციო ძალებს (Griff & Wallenfeldt, 2020), რადგან აშშ-მა და ნატომ ჩათვალეს, რომ ავღანეთს ოპერაციების განხორციელება საკუთარი თავდაცვითი ძალებით და ISAF-ის მისიის საბრძოლო შეიარაღებული ძალების დახმარების გარეშეც შეეძლო. შედეგად, 13-წლიანი ყველაზე გრძელი ომი, რომელიც აშშ-ს ოდესმე გაუმართავს, ოფიციალურად 2014 წლის 28 დეკემბერს დასრულდა („სამშვიდობო მისიები: ნატოს როლი ავღანეთში").

საინტერესოა აშშ-ს პრეზიდენტების დამოკიდებულება ავღანეთის მისიის დასრულებასთან დაკავშირებით. ბარაკ ობამაც და დონალდ ტრამპიც პირობას დებდნენ რომ ამერიკელ სამხედროებს სამშობლოში დააბრუნებდნენ. ვითარების გაუარესების გამო, ობამას ადმინისტრაციამ გადაწყვიტა 2015 წლის ოქტომბერში ქვეყნიდან აშშ-ს ძალების გაყვანა შეეჩერებინა . (Berdal, 2016)შედეგად, 2015 წლის 1 იანვრიდან ნატომ ავღანეთში დაიწყო არასაბრძოლო საერთაშორისო მისია „მტკიცე მხარდაჭერის მისია" (Resolute Support Mission in Afghanistan – RSM), რომელიც სასწავლო ხასიათს ატარებდა და ავღანეთის უსაფრთხოების ძალების გაწვრთნას ისახავდა მიზნად („მისია ავღანეთში", 2018). აღნიშნული მისია გარკვეული მიზეზების გამო, 2 წლის ნაცვლად 6 წელი გაგრძელდა.

რაც შეეხება ტრამპს, იგი არ მოერიდა კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას და თალიბებთან შეთანხმებასაც მიაღწია. თუმცა რამდენად შესრულდა შეთანხმებაში გაწერილი პირობები სხვა საკითხია, რამეთუ ათასობით დაკავებული თალიბის გათავისუფლების საპასუხოდ მათ მხოლოდ საერთაშორისო სამხედრო მოსამსახურეების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების შეჩერება და დაკავებული ავღანელი სამხედროების გათავისუფლება ევალებოდათ, რაც რა თქმა უნდა, არ შეასრულეს. აშშ-ის დღევანდელი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის გადაწყვეტილებით, საბოლოოდ, ამა წლის 31 აგვისტოს დამთავრდება მისია, როცა ყველა ამერიკელი სამხედრო დატოვებს ავღანეთს. (The White House, 2021)

რაც შეეხება ISAF-ის მისიის დასრულებას, დღესდღეობით უკვე ჩანს, თუ რაოდენ სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას. ქვეყნის უსაფრთხოების დონე მკვეთრად შემცირდა, გაიზარდა თავდასხმების რაოდენობა. დაახლოებით ტერიტორიის 85 % თალიბების ხელში გადავიდა. მკვლევართა ნაწილი კი არ უარყოფს, რომ შეიძლება კვლავ თალიბანი მოვიდეს ხელისუფლების სათავეში. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, მათ უკვე დახურეს ათეულობით სკოლა და აპირებენ კიდეც ქალების უფლებების კვლავ შეზღუდვას. ასე თუ ისე, გამოსწორებული სიტუაცია ავღანეთში კვლავ რთულდება. სათუო ხდება მისი მომავალიც, რამეთუ არ არის გამორიცხული, რომ გაიზარდოს უმუშევართა რიცხვი, კორუფციის დონის გაზრდა მოყვეს ყოველივე ამას. უახლესი ინფორმაციებით იზრდება ქვეყნის დატოვების მომხრეთა რიცხვი, განსაკუთრებით საფრთხე ემუქრება იმ პირებს, რომლებიც კოალიციურ ძალებთან მუშაობდნენ. არც თუ ისე შორეული ისტორიული წარსული გვაჩვენებს იმასაც, რომ თალიბებთან მოლაპარაკებების წარმოების წარმატებულობა ძალიან მცირეა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნატო-ს მისია ავღანეთში არ დაუსრულებია. ქვეყანა კვლავ დგას საშიშროების წინაშე, მიუხედავად იმისა, ვაღიარებთ, რომ ავღანეთს გარკვეულ ეტაპზე დამოუკიდებლად უნდა ემართა სახელმწიფო. მაინც ვფიქრობთ, რომ ჯერჯერობით იმდენად მძლავრი არ იყო სახელმწიფო უსაფრთოხების აპარატი, რომ მარტო გამკლავებოდნენ რთულ მისიას-დაეცვათ ავღანეთი ტერორისტებისგან.

დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ავღანეთში სიტუაცია თანდათანობით კიდევ უფრო უკონტროლო ხდება. ISAF-ის მისიის თითქმის 20 წლიანი მიმდინარეობის პერიოდში იყო გარკვეული წინსვლები, რაც რა თქმა უნდა ყურადსაღებია, რამეთუ ვითარების შედარებით დარეგულირება და სასიკეთო ცვლილებები დაეტყო ავღანეთს და მის მოსახლეობას. გაიზარდა სკოლების რაოდენობა, ქალებსა და ბავშვებს მიეცათ უფლება მიეღოთ განათლება, უშიშროების ძალების წვრთნა დაიწყო, ფაქტობრივად თანდათანობით შეიქმნა ყველაფერი, რაც საჭირო არის განვითარების გზაზე დამდგარი სახელმწიფოს შექმნისთვის.

შესაბამისად, ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო ნატო-ს ჯარების გამოყვანა და მართვის სადავეების ავღანელებისთვის გადაცემა. თუმცა რამდენად გამართლებული იყო ამ ეტაპზე ეს გადაწყვეტილება, სათუო არის. რამეთუ გასათვალისწინებელია ავღანელი ხალხის დამოკიდებულება ქვეყნის მომავლისადმი და მათი პატრიოტიზმის გრძნობა. ამასთან გვაქვს ისტორიული გამოცდილება, რომლის გაანალიზების შედეგად ვასკვნით, რომ თალიბების ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს განადგურდა ინფრასტრუქტურა, დაიხურა სკოლები თუ უნივერსიტეტები, გაუარესდა ეკონომიკური მდგომარეობა, შეიზღუდა ადამიანების უფლებები. არასახარბიელო გამოცდილება მიიღეს ავღანელებმა, თუმცა კვლავ არის საშიშროება იმისა, რომ იგივე განმეორდეს.

გამომდინარე რელიგიური ექსტრემისტებისა და ტერორისტების მომძლავრებისა, ასევე ვერ დამყარებული მშვიდობის ხანგრძლივი პერიოდისა ავღანეთი დღესდღეობით არშემდგარი სახელმწიფოების რიგში მოწინავე პოზიციებს იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს ამოცანა

ტერორისტებთან ბრძოლის გარდა თანდათანობით სახელმწიფოს განვითარება გახდა, რისთვისაც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, მაინც პრობლემები უფრო მეტია, ვიდრე წინსვლა. თუ თანამედროვე მოვლენებსაც შევეხებით დავინახავთ, რომ ნატო-ს ჯარების ავღანეთის ტერიტორიიდან გამოსვლის შედეგად ვითარება ქვეყანაში უფრო და უფრო რთულდება. ავღანეთის უსაფრთოხების ძალები ვერ უმკლავდებიან ტერორისტებს. შესაბამისად სავარაუდოა, სულ მოკლე ხანში ხელისუფლების სათავეში თალიბები მოვიდეს. რაც რა თქმა უნდა, ახალ გამოწვევებს გააჩენს საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ამას ემატება, ქვეყნიდან წასვლის მსურველთა რიცხვი და შესაძლო საფრთხეები, რაც ქვეყნის არასტაბილურ მდგომარეობას განაპირობებს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ავღანეთი ძალიან მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა, შესაბამისად, არ არის გამორიცხული ახლა უკვე რუსეთმა სცადოს ტერორისტებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარება და მის სასარგებლოდ სიტუაციის შემობრუნება.

ბიბლიოგრაფია

პეტრიაშვილი, ა. (2021, ივლისი 12). 20 წელი ავღანეთში: დაუსრულებელი მისია. Retrieved ივლისი 31 2021 , from Forbes Georgia: https://forbes.ge/blogs/20-tseli-avghanethshi-dausrulebeli-misia/

1. Stoltenberg, J. (2021, June 14). Opening speech by the NATO Secretary General at NATO 2030. (D. Haines, Interviewer)
2. აბაშიძე, ზ. (2009). ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა? თბილისი.
3. პეტრიაშვილი, ა. (2019, თებერვალი 4). ომი და მშვიდობა ავღანურად. Forbes Georgia. Retrieved from Forbes Georgia: https://forbes.ge/blogs/e1-83-9d-e1-83-9b-e1-83-98-e1-83-93-e1-83-90-e1-83-9b-e1-83-a8-e1-83-95-e1-83-98-e1-83-93-e1-83-9d-e1-83-91-e1-83-90-e1-83-90-e1-83-95-e1-83-a6-e1-83-90-e1-83-9c-e1-83-a3-e1-83-a0-e1-83-90/
4. Petrov, N. (2021, July 15). Afghanistan, Russia, and the CSTO. PONARS Eurasia.
5. Harting, S., & Hoehn, A. (2010). “Risking NATO: A Greater Role for NATO in Afghanistan”. RAND Corporation.
6. საქართველო და ნატო საინფორმაციო ცენტრი. (n.d.). სამშვიდობო მისიები. Retrieved from https://old.infocenter.gov.ge/peacekeeping-missions/#1
7. 4. Witte, Griff & Wallenfeldt, Jeff. (2020, 13 October). “Afghanistan War 2001-2014”. Britannica. Last seen: 23/07/2021 . (n.d.).
8. Griff , W., & Wallenfeldt, J. (2020, Octomber 13). “Afghanistan War 2001-2014”. . Britannica.
9. „დღე, რომელმაც მსოფლიო შეცვალა 11 სექტემბერი“. (2017, სექტემბერი 11). Retrieved from სააგენტო ახალი ამბები: https://news.ge/2017/09/11
10. Barnett, M. (2016). Paternalism beyond Borders. Cambridge University Press .
11. Berdal, M. (2016). “War, Strategy and History: A Mission Too Far? NATO and Afghanistan, 2001–2014”. ANU Press.
12. „მისია ავღანეთში“. (2018). Retrieved July 2021, from საქართველოს თავდაცვის სამინისტრო: https://mod.gov.ge/ge/mission/56/samshvidobo-misia-avganetshi
13. The White House. (2021, July 08). “Remarks by President Biden on the Drawdown of U.S. Forces in Afghanistan” . Retrieved from https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/07/08/remarks-by-president-biden-on-the-drawdown-of-u-s-forces-in-afghanistan/
14. ბეჟანი , ფ., & სარვარი, მ. (2021). თალიბანი ქალების მიმართ შეზღუდვებს აღადგენს ავღანეთის რეგიონებში, რომლებიც დაიკავა. რადიო თავისუფლება.
15. პაპასკირი , თ. (2013). ევროპის და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია. 1945 წლიდან დღემდე. . თბილისი.
16. Clayton, D. (2016). CIA and the Wars in Southeast Asia 1947–75.
17. Gaetano , J. (2009). The 9/11 Attacks. A Study of Al Qaeda's Use of Intelligence and Counterintelligence.
18. Barakat , S., & Smith-Windsor, B. (2015). Post-ISAF Afghanistan: The Early Months. Brookings Doha Center & NATO Defense College Policy Dialogue.
19. Donnelly, R. (2019). Jimmy Carter’s lasting Cold War legacy. The Conversation.